

## დაგროვებითი პროგრამა Express Bonus-ის მომსახურების პირობები

წინამდებარე დოკუმენტი აღწერს სს „საქართველოს ბანკის“ (შემდგომში - ბანკი) მიერ Express Bonus დაგროვებითი პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მომსახურების პირობებს.

### 1. გამოყენებული ტერმინები

- 1.1. **კლიენტი** - ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელსაც ბანკმა გადასცა MasterCard Debit და/ან MasterCard Standard უკონტაქტო პლასტიკური ბარათი (შემდგომში - Express Card).
- 1.2. **ბარათი** - ბანკის მიერ დამზადებული Express Card-ი.
- 1.3. **Express ქულა (შემდგომში - ქულა)** - პირობითი ერთეული, რომელსაც ბანკი პროგრამის ფარგლებში Express Bonus ანგარიშზე აღრიცხავს.
- 1.4. **Express Bonus ანგარიში** - საბანკო ინფორმაციულ სისტემაში კლიენტის სახელზე გახსნილი არასაბანკო ანგარიში, რომელზეც ხდება ქულების აღრიცხვა.
- 1.5. **სერვისი** - ქულების სანაცვლოდ პროგრამაში გაწევრიანებული კლიენტისთვის ხელმისაწვდომი სერვისი, რომელშიც შესაძლებელია დაგროვილი ქულების გადაცვლა (სამგზავრო ბალანსის შევსება, მობილურის ბალანსის შევსება, კომუნალური გადასახადების გადახდა, Express ქულების MR ქულებში გადაცვლა).
- 1.6. **სერვისის ნომინალური ღირებულება** - სერვისის ღირებულება ქულებში რომელსაც ბანკი განსაზღვრავს ყოველი კონკრეტული სერვისისთვის.
- 1.7. **გადახდის ოპერაცია** - სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში ბარათით ჩატარებული ოპერაცია, რომლის დროსაც კლიენტმა შეიძინა ნივთი და/ან მომსახურება.
- 1.8. **Express Bonus პროგრამის მონაწილე (შემდგომში - პროგრამის მონაწილე)** - ბანკის კლიენტი, რომელსაც გააქტიურებული აქვს Express Bonus პროგრამა.
- 1.9. **პრომო აქცია** - ბანკის მიერ ორგანიზებული წამახალისებელი აქცია, რომლის დროსაც მოქმედებს ბანკის მიერ განსაზღვრული შეღავათები, გაიცემა დამატებითი ქულები და/ან საჩუქრები.

### 2. პროგრამის ზოგადი აღწერა

- 2.1. პროგრამის ფარგლებში, ბანკი საშუალებას აძლევს პროგრამის მონაწილეს, დააგროვოს ქულები გადახდის ოპერაციების ჩატარებისას, სადაც მას უფლება ექნება ამ ქულების გამოყენებით, მიიღოს მისთვის სასურველი სერვისი.
- 2.2. გადახდის ოპერაციები, დარიცხული ქულების რაოდენობა, საჩუქრის შეკვეთის და მიღების წესები და პროგრამის სხვა პირობები განხილულია დოკუმენტის მომდევნო თავებში.

### 3. პროგრამაში მონაწილეობა

- 3.1. პროგრამაში გაწევრიანება შეუძლიათ:
  - 3.1.1. Express Card-ის მფლობელებს, რომელთა საბარათე ანგარიში არ არის დახურული და ბარათი არ არის ვადაგასული.
  - 3.1.2. კლიენტებს, რომელთა Express Card-ის ანგარიშ(ებ)ზე არ ირიცხება არაავტორიზებული ან ვადაგადაცილებული ოვერდრაფტის დავალიანება.
- 3.2. პროგრამაში გაწევრიანება ხდება ავტომატურად ბარათის გააქტიურების დროს.
- 3.3. კლიენტის სურვილისამებრ, პროგრამის შეჩერება/დეაქტივაცია ხდება კლიენტის განაცხადის საფუძველზე ბანკის ნებისმიერ სერვისცენტრში.

### 4. Express Bonus ანგარიში

- 4.1. პროგრამის ჩართვის თარიღში კლიენტს ეხსნება Express Bonus არასაბანკო ანგარიში, რომელზეც ბანკი ახდენს დარიცხული და ჩამოჭრილი ქულების აღრიცხვას.

### 5. ქულების დარიცხვა

- 5.1. ქულების დარიცხვისას, ბანკი ითვალისწინებს გადახდის მხოლოდ იმ ოპერაციებს, რომლებიც აუცილებელი წესით აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:
  - 5.1.1. გადახდის ოპერაცია ჩატარებულია ძირითადი და/ან დამატებითი Express Card-ით.
  - 5.1.2. გადახდის ოპერაცია ჩატარებულია და საბანკო სისტემაში ასახულია პროგრამაში გაწვევრიანების შემდეგ და პროგრამის შეჩერების/დეაქტივაციის თარიღამდე.
- 5.2. Express Bonus ანგარიშზე ქულების დარიცხვა წარმოებს შემდეგი წესით: 10 (ათი) ქულა გადახდის ყოველი ოპერაციისთვის.
  - 5.2.1. გადახდის მინიმალური მოცულობა, რომელზეც მოხდება ექსპრეს ბონუსქულის დარიცხვა, განისაზღვრება 0,50 ლარით.
  - 5.2.2. ონლაინ/ინტერნეტ/pay box-ით გადახდების დროს ექსპრეს ბონუს ქულის დარიცხვა განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ერთი კალენდარული დღის განმავლობაში, ერთი პროვიდერის სასარგებლოდ განხორციელდება 2 გადახდა. იგივე კალენდარული დღის განმავლობაში, იგივე პროვიდერის სასარგებლოდ, მესამე და შემდგომ გადახდაზე ექსპრეს ბონუსქულის დარიცხვა არ მოხდება.
  - 5.2.3. ქულების ასახვა Express Bonus ანგარიშზე ხდება გადახდის ოპერაციის საბანკო სისტემაში ასახვიდან მომდევნო საბანკო დღეს.
  - 5.2.4. დამატებითი ბარათით ჩატარებული გადახდის ოპერაციების შესაბამისი ქულები აისახება ძირითადი ბარათის მფლობელის Express Bonus ანგარიშზე.

## 6. ქულების დარიცხვა პრომო აქციების ფარგლებში

- 6.1. ბანკს უფლება აქვს, ჩაატაროს პრომო აქციები (მათ შორის მესამე პირთა მონაწილეობით), რომელთა ფარგლებშიც მოხდება ქულების დარიცხვა მე-5 თავში აღწერილი სქემისგან განსხვავებული წესით.
- 6.2. ბანკის გადაწყვეტილებით, პრომო აქციებში მონაწილეობას მიიღებენ პროგრამის ყველა მონაწილეები ან მათი გარკვეული კატეგორიები
- 6.3. ბანკი თავად განსაზღვრავს:
  - 6.3.1. პრომო აქციის ხანგრძლივობას;
  - 6.3.2. პრომო აქციაში მონაწილეთა კატეგორიებს;
  - 6.3.3. გადახდის ოპერაციის დამატებით კრიტერიუმებს;
  - 6.3.4. პრომო აქციის ფარგლებში დასარიცხი ქულების რაოდენობას;
  - 6.3.5. პრომო აქციის ჩატარების სხვა პირობებს.

## 7. ქულების გამოყენება

- 7.1. პროგრამის მონაწილეს უფლება აქვს, გამოიყენოს Express Bonus ანგარიშზე არსებული ქულები მხოლოდ სერვისის მიღების მიზნით.
- 7.2. პროგრამის მონაწილეს არ აქვს უფლება, გააჩუქოს, გაყიდოს ან სხვა რაიმე გზით გაასხვისოს მის Express Bonus ანგარიშზე არსებული ქულები.
- 7.3. პროგრამის მონაწილეს უფლება აქვს, გადაცვალოს ქულები მისთვის სასურველ სერვისში, თუ შესრულდება შემდეგი აუცილებელი პირობები:
  - 7.3.1. ბარათის ანგარიშზე არ ირიცხება ვადაგადაცილებული და/ან არაავტორიზებული ოვერდრაფტის დავალიანება.
  - 7.3.2. ბარათის ანგარიში არ არის დახურული.
  - 7.3.3. Express Card-ის ანგარიშზე მიბმული ბარათებიდან ერთ-ერთი Express Card-ი მაინც არის აქტიური.
  - 7.3.4. პროგრამის მონაწილეს Express Bonus ანგარიშზე აქვს ქულების საკმარისი რაოდენობა სერვისში გადასაცვლელად.
- 7.4. ბანკი თავად განსაზღვრავს სერვისების ჩამონათვალს, რომლებზეც პროგრამის მონაწილეს შეუძლია ქულების გადაცვლა.
- 7.5. ბანკი თავად განსაზღვრავს ყოველი სერვისის ნომინალურ ღირებულებას.
- 7.6. სერვისების ჩამონათვალი და მათი ნომინალური ღირებულებები მოცემულია საქართველოს ბანკის ვებ-გვერდზე, ExpressPay-ს თვითმომსახურების ტერმინალსა და Express Online-ის პლატფორმაზე. ბანკს უფლება აქვს კლიენტის შეტყობინების გარეშე ნებისმიერ დროს შეცვალოს არსებული სერვისების ჩამონათვალი და მათი ნომინალური ღირებულებები.
- 7.7. თუ ბეჭდურ მასალებში მითითებული სერვისების ჩამონათვალი და მათი ნომინალური ღირებულებები არ ემთხვევა ExpressPay-ს თვითმომსახურების ტერმინალსა და Express Online-ში

არსებულ ჩამონათვალს/ნომინალურ ღირებულებებს, ბანკმა და პროგრამის მონაწილემ უნდა იხელმძღვანელონ ExpressPay-ს თვითმომსახურების ტერმინალსა და Express Online-ში არსებული ჩამონათვალით.

- 7.8. ბანკს უფლება აქვს, სერვისების და მათი ნომინალური ღირებულებების შესახებ ინფორმაცია კლიენტს მიაწოდოს ბანკისთვის მისაღები ერთ-ერთი ან ერთდროულად რამდენიმე საშუალების გამოყენებით. ესენია:
  - 7.8.1. ელექტრონული ფოსტა;
  - 7.8.2. მოკლე ტექსტური შეტყობინება;
  - 7.8.3. ExpressPay-ს თვითმომსახურების ტერმინალი;
  - 7.8.4. Express Online-ი.

## **8. ქულების ჩამოჭრის ცალმხრივი უფლება**

- 8.1. ბანკს უფლება აქვს, ექვივალენტით ლარებში ჩამოაჭრას ქულები პროგრამის მონაწილეს Express Bonus შესაბამისი ანგარიშიდან, თუ:
  - 8.1.1. ბანკმა შეცდომით ჩარიცხა ქულები პროგრამის მონაწილის Express Bonus ანგარიშზე.
  - 8.1.2. კლიენტმა ბანკში დადგენილი წესით გაასაჩივრა ძირითადი და/ან დამატებითი ბარათით ჩატარებული გადახდის ოპერაცია, რომელზეც მას დაერიცხა ქულები.
  - 8.1.3. გადახდის ოპერაცია არ აკმაყოფილებს 5.1 ქვეპუნქტში მითითებულ ერთ-ერთ პირობას მაინც.
- 8.2. 8.1 ქვეპუნქტში აღწერილი შემთხვევების დადგომისას, ქულების ჩამოჭრა ხდება სამუდამოდ.

## **9. ინფორმაცია Express Bonus ანგარიშზე არსებული ქულების შესახებ**

- 9.1. Express Bonus ანგარიშზე არსებული ქულების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგი არხების მეშვეობით:
  - 9.1.1. ბანკის ნებისმიერი სერვის ცენტრი;
  - 9.1.2. სატელეფონო ცენტრი;
  - 9.1.3. Express Online-ი;
  - 9.1.4. ExpressPay-ს თვითმომსახურების ტერმინალი;
  - 9.1.5. ბანკომატი.

## **10. პროგრამის შეჩერება**

- 10.1. ბარათის ანგარიშზე ვადაგადაცილებული და/ან არაავტორიზებული ოვერდრაფტის დაფიქსირების მომენტიდან პროგრამა ითვლება შეჩერებულად, რაც გულისხმობს, რომ:
  - 10.1.1. შეუძლებელი ხდება საჩუქრის შეკვეთა;
  - 10.1.2. არ ხდება ქულების დაგროვება.
- 10.2. პროგრამა გააქტიურდება ვადაგადაცილებული დავალიანების სრულად დაფარვიდან მომდევნო საბანკო დღეს.

## **11. პროგრამის დეაქტივაცია**

- 11.1. პროგრამის დეაქტივაცია მოხდება:
  - 11.1.1. კლიენტის სურვილის შემთხვევაში, ბანკის ნებისმიერ სერვის ცენტრში, განაცხადის საფუძველზე;
  - 11.1.2. ბარათის ანგარიშის ნებისმიერი მიზეზით დახურვის შემთხვევაში;
  - 11.1.3. საბანკო მომსახურების პირობების დარღვევის შემთხვევაში;

## **12. განსაკუთრებული პირობები**

- 12.1. პროგრამის მონაწილის მიერ ქულებში გადაცვლილი სერვისით სარგებლობის უფლება არ შეიძლება იყოს გადაცემული მესამე პირზე.

- 12.2. ბანკი არ აგებს პასუხს პროგრამის მონაწილის მიერ მიღებული სერვისის ხარისხზე, სისრულეზე და სხვა ნაკლოვანებებზე. სერვისის ხარისხთან დაკავშირებული პრეტენზიით პროგრამის მონაწილემ უნდა მიმართოს სერვისის მომწოდებელ პროვაიდერს.
- 12.3. ბანკი არ აგებს პასუხს, თუ პროვაიდერი ვერ უზრუნველყოფს სერვისის გაწევას.
- 12.4. ბანკს უფლება აქვს, პროგრამაში მონაწილე სერვისის გამწევ პროვაიდერს გადასცეს კლიენტის პირადი ინფორმაცია, თუ ეს ინფორმაცია მოითხოვება პროგრამაში მონაწილე კლიენტის ცალსახა იდენტიფიკაციისთვის. ეს შეიძლება იყოს: სახელი, გვარი, პირადობის დამადასტურებელი საბუთის მონაცემები.
- 12.5. მხარეები თანხმდებიან, რომ პროგრამის მონაწილის მიერ ქულების მიღების შედეგად წარმოშობილი საშემოსავლო გადასახადის გადახდას და ადმინისტრირებას, კანონმდებლობით განსაზღვრული წესების შესაბამისად, შეასრულებს ბანკი.